

# ღილაკი

№1, 2006 წელი

შენობა, სადაც  
“ღილაკი”  
განთავსებული  
გასაუიღო ობიექტთა  
სიაში მთხვდა!!!

ქრისტე "ოცნის" ბუნების  
პარკშია და მდებარეობს  
თბილისის მუნიციპალიტეტის  
საბურთალოს რაიონში.  
2004 წ.



ჩემი დედა  
მე უფრო ძვირად, ძვირად მყვებიან ვიდრე  
სხვანაირად. სულელი ვარ და მშვენიერი  
მეგობრები მაყვებიან და მყვებიან. 2001 წ.  
მანუჩა ნიკოლოზი

“ღილაკი”  
მე მიხვდა ბევრი ფული გაჩუქეთ  
და რიგს სახლი აუშენეთ.  
მე მიხვდა თქვენი შემობედი  
ვიყო. 2000 წ. თათია თეიმურაზი



# ღივან

შეინდათი და წიქარათი,  
 ნიშათი და ნიკორათი,  
 კომბლეთი და საკომბლეთით,  
 იყო, არა იყო რათი  
 მოგუგუვანე აქამომდე,  
 მოგუგატარე ჯამი ვრმელი.  
 მარადიულ ბავშვობაში  
 განფენილი ახი წელით.  
 შენ აღსარდე ჩემი ბებო,  
 ბებოს-ბების-ბუბის დედან,  
 თუშცა სშირად თბოლი ხარ,  
 ავი დედინაცვლის ვერი,  
 ცის და მზის უხანავი ხარ,  
 მაინც ცა და მზესე მდერ:  
 მზეო, მზეო, ჰერი, ჰერი!  
 ჰერი ცაო, ღაციცაო!  
 ცხვო, ცხვო თბლის კვერი,  
 ბოლოს კარვად გამოცხვო.  
 უკედევების სამეფომდე  
 ვოგმან-ვოგმან მიგვაციდე.  
 მარად მუკველ იყოს შენი  
 დათოვლილი სიუმაწვიდე.  
 მარად შენი ქვერდეს ანი,  
 ქვერდეს კრინი, ქვერდეს ბანი.  
 შენი ავლა-დიდებანით  
 საფსე ზღაპრის კიდობანი...  
 ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,  
 სათნოების ვიდი იყო.  
 დაუწუების მდინარესე  
 უღალატო სიდი იყო.  
 დიდ ქვაბში რომ ღაღად იყო  
 ზატარაში აღარც იყო...  
 ასე იყო,  
 ისე იყო  
 „დილა“ ახის ვამხდარიყო.  
 დმერთო დილის თენებანი  
 ხაღამოთი ამხდარიყოს.

ძვირფასო  
 „დილა“!  
 გლოცავთ  
 100 წლის  
 იუბილეს!



ქუთაისის 1-ლი  
 საშუალო სკოლა



ასე იყო გუშინ...

მაქვს პატივი, საბავშვო ჟურნალ „დილის“ რედაქციის სახელით მცირე დაგვიანებით მოგილოცოთ ვაჟიშვილის დაბადება.

ალბათ, გულწრფელები ვიქნებით, თუ ვიტყვით, თუ კიდევ ერთი ყმაწვილის მოვლინება ამ ქვეყნად, ვის უნდა გახარებოდეს, თუ არა საბავშვო ჟურნალის რედაქციას. დარწმუნებული ვიყავით, პატრია ნიკოლოზის დაბადებით საბავშვო ჟურნალ „დილას“ კიდევ ერთი მკითხველი შემოემატებოდა, ტერიტორიებდაკარგულ ჩვენს ქვეყანას კი, ერთი კარგი მეომარი!

მაგრამ ჩვენი სიხარული „ჟურნალს კიდევ ერთი მკითხველი შემოემატა-თქო“ ნაადრევი გამოდგა, რადგან ის შენობა, სადაც „დილა“ განთავსებული, გასაყიდ ობიექტთა სიაში მოხვდა...

ბატონო პრეზიდენტო! ნუ ჩაადენინებთ ამ ცუდ საქციელს თქვენივე მთავრობის ცუდ კაცებს, ანუ იმით, რომელთაც ქვეყნის მომავალი არაფერად უღირთ!

ასე არ იქცეოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები თავიანთი პატარების ჟურნალს. იმ ნათელმა ხალხმა კარგად იცოდა, თუ როგორ უნდა ზიარებოდა ქართული ბავშვი ქართული სიტყვის მადლსა და ღვაწლს - ალბათ ამიტომაც გაძლიო ამ ჟურნალმა მთელი ერთი საუკუნე და, რომ არა თქვენი ხელისუფლების მიერ თავსდატეხილი ეს უბედურება, უფრო დიდხანს იარსებებდა...

დღეს კი, ეროვნული დროშის ქვეშ მოსული მთავრობა, ისეთივე ენერგიითა და ისეთივე დაუნდობლობით ერეკება ქუჩაში მის თანამშრომლებს, როგორც ამ რამდენიმე წლის წინ აფხაზები - ქართველებს!

იმ განსხვავებით, რომ იქ, სოხუმში, ამას ჩვენი მტრები ჩადიდნენ, აქ კი, თბილისში, ყოველივე ეს ქართველების ხელით კეთდება!..

ბატონო პრეზიდენტო, ნუ ჩაადენინებთ ამ ცუდ საქმეს თქვენივე მთავრობის ცუდ კაცებს, თორემ, მომავალში ესენი არავის ემახსოვრება და ჯოხიც მხოლოდ თქვენზე გადატყდება...

ბატონო პრეზიდენტო! თავის დროზე, ჩვენმა დიდმა წინაპრებმა (ხშირად ვახსენებ ჩვენს წინაპრებს, თუნდაც იმიტომ, რომ კარგი წარსულის ერი ვართ), ბატონმა ზუბალაშვილმა (1906 წ.) საკუთარი სახლი დაუთმო ღარიბ საბავშვო რედაქციას, მერე ბოლშევიკებმა ამ შენობაში (მაშინ ერთსართულიანი იყო) გადმოვიყვანეს - საიდანაც ახლა თქვენი ხელისუფლება გყვრის!

არ დავიმალოთ, ისინი დღევანდელ მთავრობას ნამდვილად სჯობდნენ. მაშინ საბავშვო ჟურნალის თანამშრომლები ქუჩაში გასაყრელად და სასიკვდილოდ ვერ გამოიტეს!

ვიცით, როგორ არ ვიცით, რომ ქვეყნის პირველ პირს უამრავი საქვეყნო საქმე გადავთ მხრებზე, მაგრამ მორიგი გაფრენის დროს (ასეთი მდგომარეობა კი თქვენ ხშირად გაქვთ), იქნებ მოითხოვოთ თვითმფრინვაში ჟურნალ „დილის“ ნომრები და ნახატები მაინც გადაათვალიეროთ - თუ მოგეწონებათ, ხომ კარგი, თუ არა და, თქვენი ნება არის, მოისროლოთ ზემოდან!..

ეს კიდევ ქვემოთ მდგომი თქვენი ხალხისთვის ნიშანი იქნება, ჩვენი რედაქციის თანამშრომლები მე-5 სართულიდან მოგვისროდნენ... ამ შემთხვევაში, საბავშვო ჟურნალზე უკეთეს დღეში მისი რედაქციის თანამშრომლები აღმოვჩნდებით - მიწასთან უფრო ახლოს ვართ, მაგრამ რად ვინდა, შედეგი ერთია - სიკვდილი..

ბატონო პრეზიდენტო! ჩვენი კი სიკვდილი არ გვინდა!

ნუ იზამთ, ბატონო პრეზიდენტო, ამ ცუდ საქმეს, შეუნარჩუნეთ საუკუნოვან საბავშვო ჟურნალს და იმავე შენობაში განთავსებულ №4-მდე რედაქციას „სახლი სათნოებისა, სახლი სიკეთისა და სახლი სიმართლისა“ - თქვენი სიკეთის, სათნოებისა და სიმართლის ნიშნად!..

დოდო წიფჩივაძე

„დილის“ მთავარი რედაქტორი

საქართველოს  
პრეზიდენტის  
ეროვნული  
ვიცა-სამართლებ



# მცხეთას

გეფერები, ჩემო მცხეთავ,  
 უოულად ამღლებულთ,  
 სიწმინდეთა შემსახველთ,  
 ვაწის ვეარით ნათლულთ,  
 არაგვის და მტკვრის ნაერთში  
 მიწავ დაჯანებულთ,  
 მთის მახილთ, ქართლის სიტყვა -  
 ერთად შეჯავებულთ,  
 ბეურავურ ცნცხლში დაფორფლილთ,  
 მაინც გამარჯვებულთ,  
 უფლის კვართი ვაბართია,  
 ნათლით ზეაწუულთ,  
 ქართუვლთ სულის ხეუდარი ხარ,  
 წმიდა მირონცხებულთ,  
 გეფერები, ჩემო მცხეთავ,  
 უოულად ამღლებულთ.

ლალი ჯაფარაშვილი

## მეძეღა

ჯურ ვაწაფსულს ცნრა თმი  
 ჰქონდა ვადასტანი,  
 ხანამ უკანასკნულად  
 იტირებდა ზამთარი.  
 ვინილავდით მინდორ-ველს  
 ვიდრე ზურმუხტისფერად,  
 ჯურ ხად იყო, ჯურ ისევ  
 თებერვალი ბერავდა  
 და მიმცხნალი მწის სხივი  
 არ ჰყოფნიდა სიცილად,  
 როცა თოვლქვეშ ეხმელამ,  
 როგორც კურცხში წიწილამ,  
 იბორავ და იწვალა,  
 ნაქური სვა მუჭითა,  
 თოვლის სქედი ნაჭუჭის  
 ვამოტყნა უჭირდა.  
 მაგრამ მლიურ იმარჯვა,  
 უნდა ითქვას მართალი  
 და თებერვლის ერთ დილას  
 ვამოტყნა ზამთარი!

მხატვარი ლელა ტაბღლიაშვილი



# დედა კოკრიკო

დედა კოკრიკო მიელს ეზოში მეტად პატრეკმული კრუხი გახლდათ. მუდამ ლამაზად დავარცხნილ-დაბოლულებული დადიოდა, ამაყად და დინჯად დააბიჯებდა ეზოში და ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. მშვენიერი ჭრელი ბუმბული ჰქონდა. ასე მომხიბვლელად იმითმ გამოიყურებოდა, რომ იმ მიდამოებში სახელგანთქმული პარიკმახერი ოფოფი - ჭრელი ვარცხნიდა ბუმბულს. ჭრელი ყოველ დღე ილით სავარცხლებით სავსე ჩანოთ მოფრინდებოდა ხოლმე და მყუდრო ეზოში ხმაური და ხალისი შემოჰქონდა. კოკრიკო ისე მიეწვია, რომ ოფოფის გარეშე ბუმბულის დავარცხნას ვეღარ ახერხებდა. ესეც არ იყოს, ოფოფი ისეთი მხიარული ვინმე გახლდათ, მის გამოჩენას მთელი ეზო მოუთმენლად ელოდა. დედა კოკრიკოს ძალიან უყვარდა ეზოში სირნობა, დააბიჯებდა დინჯად და გაიძახოდა:

- კოკოკოკოკო!

ეს მის ქათმურ ენაზე ნიშნავდა: „ჩემო წიწილებო, სადა ხართ, არ დაიფანტით, დედიკოსთან მოდით და ახლომახლო ითამაშეთ, თორემ ქორი მოფრინდება და წავიდეთ, ამას კი მე ვერ გადავიტანო“. წიწილებიც წიაფწიავით მობრბოდნენ დედა-კრუხისაკენ, ვერ ერთი იმითმ, რომ ძალიან უყვარდათ დედა, მერე იმითმ, რომ ქორის ეშინოდათ და მესამეც იმითმ, რომ ვერც ისინი გადაიტანდნენ იმას, რომ მათი დედა ვერ გადაიტანდა მათს დაკარგვას.

აი, ასეთი სასიამოვნო ურთიერთობა ჰქონდათ ეზოს ბინადრებს ერთმანეთთან. ოფოფს აქ რა თქმა უნდა, სხვა კლიენტებიც ჰყავდა, მაგალითად, ბატი - სისი, იხვი - ვატა, ინდაური - მაკო და მამალი - კოკო. მართალია, მამალი უკადრისობდა ქალების პარიკმახერთან თავის გაკობტაყვას, მაგრამ ხანდახან სული მაინც წასძლევა ხოლმე და ოფოფს უფლებას აძლევდა, მისი ამაყი ბიბილო გაეპრიალებინა ან ზედმეტი ბუმბული შეეკრიჭა.

ერთ დღეს ოფოფი დანიშნულ დროს არ გამოჩნდა. აწრილდნენ ეზოს ბინადრები:

- ნეტავ რა დაემართა? - ვიშვიშებდა დედა კოკრიკო.

- იქნებ ფრთა მოიტეხა? - ღელავდა ხისი.

- ან ნისკარტი... - ნერვიულობდა ვატა.

- ღმერთო, რა უნდა მოსვლოდა? - ბოლთას სცემდა მაკო.

მხოლოდ კოკო იყო მშვიდად. აუღელვებლად დააბიჯებდა ეზოში და ზემოდან გადასცქეროდა ერთად შეგროვილ მებობლებს.

- ნეტავ რა განერვიულებთ? რა ნახეთ ასეთი ამ თავქარიან ოფოფში? მოვა, აბა სად წავა, ალბათ კიდევ ვინმეს ვარცხნის თმას.

- შენ რა გენაღვლება? - წაუსისინეს მებობლებმა, - შენ ხომ არ გვარცხნის ბუმბულს?

- მართლა ქათმები ხართ, უტკინობა... - კიდევ უფრო ამაყად გადახედა კოკომ ქალებს და, განაწყენებული, ცალ ფეხზე შესეკვდა.

- მე ვარ ქათამი? - განაწყენდა მაკო.

- ან მე ვარ ქათამი? - აწიწინდა ვატა.

- ან მე? - ასისინდა ხისი.



- ქათამი მე ვარ მხოლოდ, მაგრამ ამის სულაც არ მრცხვნიან. პირიქით, ვამაყობ, რომ ქათამი ვარ, თანაც კრუხი და ჩვენს ეზოს მშვენიერ წიწილებს ვუზრდი! - ამყად წარმოთქვა დეიდა კოკრიკომ და, ყველაზე განაწყენებულმა, მეზობლებს ზურგი აქცია, თავის საბუღარში ჩაჯდა და წიწილებს შეუძახა „კოკ-კოკ“-ო, რაც მის უნაზე ნიშნავდა: შეიღებო, ჩემთან მოდი, მეზობლებმა მაწყენინეს და მხოლოდ თქვენ თუ დამამაშვილებთო. წიწილები მაშინვე კისრიტეხით მიცვივდნენ დედასთან და მოფერება დაუწყეს.

უცებ ეზოს თავზე ოფოფი გამოჩნდა და მზიარულად შესძახა:

- გამარჯობათ, ჩემო ლამაზებო! როცა დაინახა, ყველა დაღვრემილიყო, იფიქრა, ნამდვილად ჩემზე არიან ნაწყენი, რომ დავიგვიანეო.

- მაპატიეთ, ჩემო კარგები, გზად ისეთ გა-

ჩენილ არსებას შევხვდი, ვერც კი წარმოიტგენი. პოდა, მისი მოწუსრიგება გადაწყვეტე მაგრამ, როგორც კი სავარცხელია შევხვდი ყველა კბილი მოტყდა. ასე დავამტკრე ყველა სავარცხელი, იმის თმას ვერაფერი ვუშველე ისეთი ბასრი იყო, ისეთი...

გაბუტულ მეზობლებს უცებ გამოუკეთდათ განწყობა და სიცილი აუტყვიათ.

- სულელო, ეს ხომ ზღარბი ყოფილა! - შესძახა კოკომ.

- მართლაც, აბა როგორ დავარცხნიდი მის ეკლებს! - სიცილით კვდებოდა სისი.

დეიდა კოკრიკოც გამზიარულდა. დინჯად ამოვიდა საბუღრიდან და მეზობლებთან მივიდა.

სულ მალე მთელ ეზოში მზიარული კისკისი და ხმაური გაისმოდა. ახლა იმაზე ბჭობდნენ მეზობლები, როგორ გაეახლებინათ ჭრელოს სავარცხლები, რათა ისევ შესძლებოდა მათი გალამაზება.

მხატვარი თამაზ ხუციშვილი





**ჰაითი  
ნანახაშვილი**  
7 წლის

### ზღაპრის გმირები ქარნავალზე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქალაქი. ამ ქალაქში სულ პნელოდა, რადგან შერი ბოროტი კაცი იყო. ქალაქის მცხოვრებლებს არ ჰქონდათ იმის უფლება, რომ ერთი დღე მაინც მოეღვინათ – მერი ხომ ძალიან სერიოზული კაცი იყო. ერთხელ გამოცხადდა, დღეს ჩემი დაბადების დღეა და მინდა სიწყნარე იყოსო. ქალაქის ერთმა მცხოვრებმა თქვა, თქვენი დაბადების დღე რომ არის, იმიტომ გვინდა რომ ვიმზიაროთო. მერმა წარბები შეკრა. ქალაქელები მიხვდნენ, რომ მათ ბედნიერი დღე არასოდეს არ ექნებოდათ. შემდეგ ჩუმად მოითხოვირეს და მოილაპარაკეს, რომ მერი ლიფტში ჩაეკეტათ და თეთიონ მოეღვინათ. დადგა ის დღეც. მერი ლიფტში ჩაეკეტეს. მას ძალიან გაუკვირდა, ნეტავ რა ხდებაო? ქალაქში კი ამ დროს ზეიმი იყო. კარნავალზე ფიფქია მოვიდა თავისი პრინცი და ჯუჯები. ჯუჯები მოსვლისთანავე გაიფანტნენ და ცეკვა დაიწყეს. მოვიდა კონკაც და მძინარე მზე-თუნახავიც, წითელქუდაც და ყველაზე მაკრებიც. აქეთ-იქით სულ ფერადი ბუმტემი ცვიოდა. მერმა ეს რომ ნახა, პატივბა თხოვა და იმის მერე ყველანი ერთად და ბედნიერად ცხოვრობდნენ.



**ნეონი  
თოფალაშვილი**  
8 წლის

### განსახიზმელი

განსახიზმელა,  
გაიფურქნა ხე,  
ათასფერად შეიძოსა ტყე,  
მაშეი ვაღობს,  
შე იცინის,  
რა ღამაში დარია,  
ცაში მსქეს კი ყველაფერი  
ძალიან უსარია.



**თათია ტაბაივა**  
4 წლის

გაწი, გაწი ვერ ავანთო,  
თურმე გაწი წასულა!  
შუქი, შუქიც ვერ ავანთო  
- თურმე შუქიც წასულა...



**მარიამ  
მდარიაშვილი**

თბილისის  
მე-4 საშ.  
სკოლის  
მოსწავლე,  
7 წლის



### პირფასო მკითხველო!

საქართველოში ბევრია ისეთი ბავშვი, რომელსაც პატარობიდან ოჯახში ქართული საუბარი ნაკლებად ესმის და თავადც უჭირს ქართულად მეტყველება. ეს კონკურსი სწორედ მათთვის, არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებისთვის ცხადდება. მთელი წლის განმავლობაში მათ შეეძლება გამოეხატონ თავიანთი ნაწერები და ნახატები. წლის ბოლოს კი გამოცხადდებიან გამარჯვებულები – გაიცემა სამ-სამი პრემია საუკეთესო ლექსის, საუკეთესო მითხრობისა და საუკეთესო ნახატის ავტორებისთვის. წამახალისებელ ჯილდოებად ნიჭიერ ბავშვებს საჩუქრად გადაეცემათ „დილის“ გამოცემები.

სასამძენოა, რომ ამ იდეის ავტორი მათი თანატოლი,  
27-ე სკოლის X კლასის მოსწავლე ნანიკო ვარძაბაძე.

კონკურსი



# დიდი წვიმა ახალი

## კასო

ერთ მშვენიერ დღეს  
დაიბადა კასო.  
ისე ღამაშია,  
შეუდრება მზესო.  
ისე სკვიანია,  
გავვასარებს ბევრსო.  
კარგი საქმეებით  
ვაძლავს ერსო.  
აუი ენებისგან  
დაფუაროს ღმერთსო.  
ბიძაც მიტომ უძღვინს  
სახელობით ღვესსო!



აბა, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა,  
მომქმარე; შია, დო.  
მოდი, წვიმა მოვუვროფით  
ვედრითა და ტამტითო.

მშემ ღრუბლები რეცხვა-რეცხვით,  
ცაზე სუღმთლად დავლითაო,  
ვაწურა და გადაფინა,  
თუორად ვააქათქათაო.

რას წუწუნებს შენი შვილი?  
არ ხერდება წამითაო,  
თუ არ მოსწონს წვიმის წვალი,  
ვებანიოთ საზნითაო.

ერთი ამას დამიხედო,  
მეტინარა კვანაო,  
არ ვეწეინოს, ხემა შიაო,  
ვავკვსრდება პრანაო.



## დალი მაზიზილი

### წვიმა მღარის

წვიმა მღარის, კვანცაღე  
მოუღოღრეფე ქარსაო,  
ღრუბლების არეფს, სახეს უცვლის  
ცას ღურთუფლებასაო.  
მეც ღელიანს ავანეკეპე,  
ვისეებ ღვესის თქმასაო,  
ხუტეკა თიებს ჩამოვესრდი  
პაწაწინა ქაღისაო!

მხატვარი ნათია ბრველაძე



## საღომა თიბაძა

### ზარმაზების ნატვრა

ეპ, რა მალე ვარბის ხოღმე  
შაბათი და კვირა.  
უპ, რა დიდხანს იქიმება  
მერე სწავლის კვირა.

მოდი, უველამ მოვითხოვით,  
იქნებ დავგროთის ნება,  
მხოლოდ ორ დღეს იეთს სწავლა,  
ხუთ დღეს - დასვენება.





# ლეგენდები ლეგენდაზულ

# ქალაქი ზე

მერქმისაქი

ბაში — ეს სახელი უფროს თაობას ბაიკალ-ამურის ცნობილი მავისტრალი ნატანჯე „საუჭუნის მშენებლობას“ მოაკონცხებს, მაგრამ ამაზე სხვა დროს... ახლა აღმოჩნდა, რომ ირანის ძველთაძველ, დიდი ისტორიისა და მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ ქალაქზე მოგვითხრობთ — თავისი ფინიკის პალმებითა და დიდებული ციხის-მაგრით განთქმულ ბაშზე.



ძვეს კვადრატულ კოლონატრზე გადაჭიმული არგუ ბაშის ციხე გამოუჩნდა თიხისა და პალმის ფოთლების ნარევით უშენებიათ. ამ უცნაური მასალის წყალობით მისი კედლები დღის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვაფერად მოჩანდა: გამთენიისას ყველაზე ივერებოდა, შუადღისას მოთეთრო, თითქმის უფერული ხუნდოდა, შუის ჩასვლისას კი ალისფრად იმთებოდა. ციხის ერთი მხრით პალმების კორიში ვერჯეს, მეორე მხრით კი, დაშორალი მდინარის კალაპუტს მიღმა, უდაბნო იწყებოდა. არგუ ბაში თითქოს მტერისა და სიციხისგან იცავდა პატარა ოაზისს, რომელსაც სივცოლები უძველესი, დღემდე მოქმედი წყალგაყვანილობის სისტემა ანიჭებდა. ამ სისტემის წყალობით ქალაქი მინისქვეშა წყლებს იყენებდა.



ვინ და როდის ააგო არგუ ბაში, უცნობია. ძველი ირანული ლიტერატურული ძეგლის „ბამ-ნამუშ“ (XV ს.) მიხედვით ბაშის საძირკვლის ჩაყრა მეფე სოლომონს მიეწერება, მაგრამ ეს ცნობა ნაკლებად სარწმუნოა, რადგან მუსლიმურ ირანში ასეთი ტრადიცია იყო: ყველა აქემენიდი მეფის აგებულ შენობას სოლომონს მიანერდნენ.

ბაშს უკავშირდება ძველირანული, ისლამადელი ლეგენდა ხოფთავადეზე და უზარმაზარ ქიანზე. ხოფთავადეს ბაშში მეფე არდაშირ პაპაკანის (227—241 წწ.) დროს უცხოვრობდა.

ლეგენდის მიხედვით, ერთხელ ქალაქის შემოგარენში სასიეროდ ნასულ ხოფთავადეს ქალიშვილს გაშლის ხის ქვეშ ჩამოვარდნილი ნაყოფი უპოვნია. გაშლის შუაგულში ჭია მჯდარა. გოგონას ჭია შესცოდებია და თითისტარის შესანახ კოლოფში ჩასუვაშს. იმ დღეს თურმე ჩვეულებრივზე სამჯერ მეტი ნართი დართო. დღითიღე მეტი და მეტი ნართი გაემოჭქონდა მისი ოთახიდან. გამდიდრდა ხოფთავადე და მთელ ბაშში ცნობილი და პატივსაცემი კაცი გახდა.

ჭია კი იზრდებოდა და იზრდებოდა. თითისტართან ერთად ყუთში აღარ ევლოდა და მისთვის საგანგებო კოდობანი გააკეთეს, მერე კი ბაშის ციხე-სიმაგრეში გადაიყვანეს (დღემდე ციხეში არის „ჭიის სახლად“ ნოდებული კარი). ხოფთავადე თვალისმინივით უფრთხილდებოდა თავის სიდიდრის ამ ამოუწერავ წყაროს, ასი მცველი მიუჩინა. როცა სამოხრად მიდიოდა, ჯარს წინ კიდობანში მოკალაბებული ჭია მიუძღოდა და ხოფთავადეც ბროლის ველიდან მუდამ გამარჯვებული ბრუნდებოდა.

მეფე არდაშირის ყურამდეც მივიდა ხოფთავადეს უცნაური გამდიდრებისა და წარმატებული ომების ამბავი და გადამწყვიტა, ბოლო მოუღო მისი ძლიერებისთვის. ამასობაში ხოფთავადეს სანაქებო ჭია იმხელა გახდა, უზარმაზარ დრაკონს ტოლს არ უღებდა. არდაშირმა ალყა შემოარტყა ბაშის ციხე-სიმაგრეს. ერთ ღამეს ჯორების გამრკვივით გამოუწყო, თითქმის დატვირთა მარცვლეულით და შეიდა ერთგულ მომართან ერთად ციხეში შეიპარა. სამი დღე დაბყო ციხეში, მცველები გულუხვად ასაჩუქრებდა და თან ჭიის ადგილსამყოფელს არკვევდა. მესამე ღამეს არდაშირმა დიდი წრულუტება მოაწყო, მცველები ღვინით გამოართო და როცა მიყენიათ, ხორბლის მარცვალში გარწყული სანამლაკი ჭიის დაუყარა და ბოლო მოუღო. არდაშირის მეომრებმა დახოცეს მცველები და ციხე-სიმაგრის თავზე დიდი კოცონი გააჩაღეს. დაჩენილმა ჯარმა ალყა მოხსნა და იერიში მიიტანა ციხეზე. ხოფთავადე და მისი ვაჟი ტყვედ აიყვანეს.

ბაში დიდი აბრეშუმისაქი და ბაშის გზების გადაკვეთზე მდებარეობდა და, ამდენად, მნიშვნელოვანი გზაჯვარედინი იყო. ეს ლეგენდაც იმაზე მეტყველებს, რომ ძველი ირანში აბრეშუმსა და ბაშის სიმიდრის მთავარ წყაროდ მიიჩნეოდნენ.

არაბების დამპყრობლური ომების დროს (VII ს.) ბაში განსაკუთრებული მნიშვნელობით არ სარგებლობდა. მოგვიანებით კი ის სასახლანებო ციხესიმაგრე იყო სისტანსა (საფარადების დინასტია) და ბუხარას (სამანიდების დინასტია) შორის.

XI ს-დან ბაში თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს შემადგენლობაშია.

XIV ს-ში ბაში თემურ ლენგის ჯარებმა აიღეს და ეს მხარე ხორასნელი თემურიდების ხელში გადავიდა.

XVIII ს-ის დასაწყისში, 1722 წელს, ბაში ავღანელი ახირა მამაშადის ჯარებმა დაიკავეს. მოსახლეობამ მიატოვა ქალაქი და თითქმის ასი წელი ბაში გაუკაცრელებული იყო. ბაშელმა შთამომავლებმა მხოლოდ 1810 წელს შეძლეს მშობლიურად აღიკვლინენ დაბრუნება.

ქალაქს ვერადრე დააკლო ვერც დამპყრობთა დაუნდობლმა შემოსევებმა, ვერც უდაბნოს ცხელმა ქარებმა, ვერც დრომ...

2003 წლის 26 დეკემბერს მომხდარმა მინისქვერამ კი რამდენიმე წუთში მიწასთან გაასწორა მთელი ბაში. ყველაფერს, რაც მოგიყვით, უკვე ლეგენდაა, ყველაფერი წარსულშია, ეს ქალაქი აღარ არსებობს.

# ლკის ზღაპარი



დაღმდა,  
 მავმა  
 კუპრისფერმა  
 მოიწვა ერთად  
 ტყეები,  
 მთები,  
 ზღვები,  
 ტბები,  
 ვრცელი ველები,  
 მსწრაფელ  
 დაიბუდეს  
 და მიეცნენ  
 მიღს ფრინველები,  
 განხდნენ სურათნი -  
 უცნაური,  
 საკვირველები,  
 იყო ზმანება  
 იდუმალ ფერთა:  
 სამიშთა,  
 წუნართა  
 თუ მშუყნიერთა,  
 და მეგრძმებანი  
 ვაუძლიერდა  
 ველებას...  
 დაღმდა,  
 ბნელმა მთანთქა  
 მინდორ-ველები.

აინთო შუქი  
 ამოვიდა  
 სახლიდან ბოლი,  
 მოეწეუნენ ტახტზე  
 და ღუმელთან  
 დიდგდა ჰუვება:  
 „...როცა იმ კაცმა  
 ველიარ შემლო  
 თჯახის კეება  
 თქვა:  
 წავულ მხესთან,



ხსნას მას ვითოვო.  
 დახთანხმდა ცოლიც  
 ვანვლო  
 ვულ-კორდი,  
 მთები,  
 ჭალა,  
 უდაბნოს ზოლი,  
 შენვდა შენვარე  
 და მოუვვა  
 თვის ვაჭირვებას...“  
 ვარშემო მძაფური  
 უკუნი წუვება,  
 ველებჯან ვახშობენ,  
 სახლებიდან  
 ამოდის ბოლი.

„... ერთ ადგილას კი  
 შენვდა ირემი,  
 განღართუღიყო  
 რქებიც ცაში,  
 მოწუქნით იდგა,  
 თავს ძირს ვურ სრიდა,  
 მოემოვა  
 ბალახი ვითლა,  
 შიოდა მარად  
 და სიკვდილი  
 ელოდა ვუვით...“  
 აქ უძმროსი მძა,  
 მიშმარეკ თვღემით  
 შესცქერის უფროსს,  
 შუათანაც  
 ვურ ბეღაეს  
 კითხვას,  
 „რა ვეველება  
 დამაზ ირემს?“  
 ფიქრობენ დიდხანს.

ღუმელში ცუცხლი  
 ხაიფურფლა,  
 თითქმის ციოდა



და იესებოდა  
 იატაკი  
 ჩამოყრილ ნაერთი;  
 „... იარა ბეჭეუ,  
 ბოლოს ერთი  
 ისილა კაცი,  
 დიდი ხანია  
 თურმე ბედი  
 რუგბოდა შკაცრი –  
 იწვა ხიდად და  
 მასსე ხალხი  
 ვადადიოდა,  
 ქანცე აწუვეტილი  
 ვურც რას ქამდა,  
 მუდამ შიოდა...  
 უსმინა თხოვნა,  
 ვიძველიო  
 ნამდვილად აწი -  
 კვლავ შის  
 ვას ვაჰევა,  
 დატოვა კაცი.“  
 ...ღუშქელში ცეცხლი  
 ჩაიფურფლა,  
 თითქმის ციოდა.

„...იარა ბეჭერი,  
 დაინახა  
 უურცესი ეხანა,  
 შიოვლ დღის საუღლი  
 იქნებოდა  
 ივი სივრძივად...“  
 და ბავშვებს უკვიროთ  
 რა დიდიო  
 თურმე ქვეყანა,  
 მაგრამ ის კაცი  
 მაინც მსხემდე  
 უცილოდ მივა.  
 ოღონდ მათ  
 მლიურ  
 ფანტაზიას



ერთი ზღაპარი?  
 იქნებ ახლა  
 მათ ჩაეძინათ,  
 მაგრამ ხვალ  
 ახალს მოითხოვენ,  
 ვით დედის ხანას,  
 ასეა ახლა,  
 ასე იყო  
 ყოველთვის  
 წინათ...

დაღამდა,  
 შავმა  
 კუწისფურმა  
 მოიცვა სრულად  
 ტყეები,  
 შიგები,  
 ზღეები,  
 ტბები,  
 ვრცელი ველები,  
 ღრმად მისცემიან  
 რა ხანია  
 მიღს  
 ფრინველები,  
 ბავშვებსაც  
 თხრობა  
 ჩაესმით რულად;  
 აღბათ ისვენებს  
 ახლა კაცი  
 შისიკენ მსროლი,  
 აღბათ  
 ვადანდა  
 ამ ღამემდე  
 ამბავთა წყება...  
 აინთო შუქი,  
 ამოვიდა  
 ხასლიდან ბოლი,  
 მოწვეუნენ ტანტუნე  
 და ღუშქელთან  
 დიდგა ბუება...

# ცხოველთა ზრუნვა შვილებისთვის

თავისი შვილებისთვის მარტო ადამიანი როდი ზრუნავს. უმრავლესობა ცხოველებისა ისეთი ერთგულია თავისი შვილებისა, რომ მზად არის სიცოცხლეც კი განსიროს მათთვის.

იმისთვის, რომ უზრუნველყონ თავიანთი შვილები, ცხოველები, როცა საჭიროა, მათზე უფრო ძლიერებსაც უმეგობრდებიან. ერთ ასეთ შემთხვევას მოგვიყვებით:

ერთმა გაჭირვებულმა თავგმა შეამჩნია, რომ ეზოში დაბმული მურა-ძაღვის ვარცლში დიდძალი საქმელი რჩებოდა და, თუ ის იმდენს მოახერხებდა, რომ ძაღლს შეჩვეოდა, თავისუფლად შეეძლო ნარჩენი საქმლით თვითონაც გამძღარიყო და შვილებიც გამოეკვება. ამიტომაც თავგმა ჯერ შორიასლოს იწყო თვალთმაქცურად სირბილი, ათასნაირ ოინებით ართობდა ძაღლს... ბოლოს იმდენად შეეჭვია, რომ მის ქოხშიც შევიდა. ძაღლი აღარ ერჩოდა. შემდეგ, როცა თავგი დარწმუნდა, ძაღლი არაფერს მერჩისო, მიცოცდა ვარცლთან და ჯერ თვითონ შეექცა საქმელს, მერე სრულიად უშიშრად ბარტყებიც მიიყვანა. თანდათან ძაღლი და თავგი ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ ხშირად ყველანი ერთად ნაყრდებოდნენ ხოლმე. ძაღლს კი ეს კიდევაც უხაროდა, უფრო მადაინადაც იყო.

მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა. დამეგობრების შემდეგ ერთ კვირასაც არ გაუვლია, თავგი სრულიად გადასახლდა ძაღლთან თავისი ბარტყებით, თივაბზის ნაჭრებით მშვენიერი ბუდე მოაწყო და შვიც მოიკალათა.

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, შემოდის ძაღლის პატრონი და უნდა ქოხი გამოიწინოს, ძველი თივა-ბზა ახლით შეცვალოს, მაგრამ ძაღლი წინ ელობება, უღრენს, არ უშვებს იქით,

სადაც თავგები ეგულება. ცხადია თავგი სავსებით დანდობია ძაღლს და არც მოტყუებულა; ძაღლმა იგი სავსებით დაიფარა.

საზოგადოდ, ცხოველთა შორისაც, დედას ყოველთვის მეტი მზრუნველობა ემჩნევა ხოლმე. ის მუდამ იმის ზრუნვაშია, რაც შეიძლება კარგი ბინა მოუზადოს მომავალ შვილებს. კარგად იცის, რომ მის შწოსა და უწინააღმდეგეული ნაშეერთა სვე-ბედი. ამიტომაც, შეძლებისდაგვარად, ცდილობს მკვიდრი ბინა იშოვოს; თუ ადვილად შეაგროვო ხელსაყრელი მასალა, ხომ კარგი, თუ არა და, სხვა ხერხს მიმართავს და კიდევაც გამოიგონებს ხოლმე ისეთ რამეს, რაც, ასე თუ ისე, უზრუნველყოფს მის პანანინებს.

იყო ასეთი შემთხვევა: მომწყვდეულა თავგი საქათმეში, სადაც იატაკი ასფალტისა იყო, კედლები კი — თლილი ქვისა, ასე რომ გამრომა იქიდან შეუძლებელი იყო. ხერხისა გაკეთებისა და შიგ დამალვებზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. კარებსაც ისე ფრთხილად და სწრაფად აღებდა და კეტავდა საქათმის პატრონი, რომ ვერც იქიდან მოასწრო გამოსვლა.

მაშ რა უნდა ექნა თავგს?.. მაგრამ იქაც იპოვნა საშველი; მის პანანინა თავგი საუცხოო აზრი დატრიალებდა: შეუმჩნეველად შექვრა კრუხის ბუდის ქვეშ, მიბლანდ-მობლანდა საბუდრის ძირში პატარა ბუდე, დამყარა ბარტყები და, პანანინა შვილები რბილად და თბილად რომ მოეთავსებია, შეუდგა განსაკუთრებულ ზრუნვას. ჯერ ჩალა-ბულა მისუყარა თავი და იმით შემობუდრა ბუდე. შემდეგ კი საოცარი ოსტატობით შეუცოცდა ქვემიდან კრუხს და შეუმჩნეველად კუდიდან ბუმბულის წინკნა დაუნყო. შემოაწინკნა რაც კი ბუმბული ჰქონდა კრუხს კუდზე და თავის შვილებს ბუდე შიგნიდან მოუფინა.

როცა კრუხმა წინილები დაჩეკა და ბუდიდან მათთან ერთად გამოვიდა, შეამჩნიეს, რომ კუდი სრულად გაფრცქვნილი მქონდა.

საოცარია ამ მხრივ თავგის სიფრთხილე და ოსტატობა, თორემ, ის რომ კრუხს შეემჩნია, საკმარისი იყო ერთი ნისკარტის ჩაკვრა და დაუპატიჟებლად სტუმრებს იქვე ჩახოცავდა.





# ჭიდან ამოსული მეგობარი

შრილა ტყის პირას, კონტა, უსურვახით შე-  
მოსილ სახლში ერთი გოგონა ცხოვრობდა.  
სახლს ვარს ყველინარი ერტყა. გალიაში იაღო-  
ნი გალობდა. კნუტები მზეზე ნებივრად გაწოლი-  
ლი დედის ირგვლივ ერთმანეთს თათებს უთათუ-  
ნებდნენ, გორაობდნენ. ბალის სიღრმეში დიდი  
მალღი დინჯად დაბაიჯებდა, საეჭვოს თუ შეამჩ-  
ნებდა, შეჰყვებდა.

საქანელაზე პატარა გოგონა მიჰქრი-მოჰქრო-  
და, თან კისკისებდა. ქარი ოქროსფერ თმას  
ზურგს უკან ფრთხილვით უფრიალებდა. ვაღია,  
დროღადრო საქანელას ხელს ჰკრავდა, თან დას-  
ძახობდა, ფრთხილად, გენაცვალე, არ ჩამოვარდე,  
არაფერი დაიშალო. გოგო ვაღიას სიტყვებს  
აინუნშიაც არ ავდებდა, ჩიტვით განაგრძობდა  
ფრენას. ტოტებზე მოხტუნავე ჩიტები ვაოცებუ-  
ლი გადმოსცქეროდნენ, მგონი, გვეჯობნისო, ჭიკ-  
ჭიკებდნენ.

მოსწყინდა გოგოს აღმა-დაღმა ფრენა, ჩამოხ-  
ტა საქანელადან, ახლა ბურთის თამაში მოუნდა,  
მაგრამ ბურთი რომ არ ჰქონდა?...  
დაღონდა პატარა, შინ შევიდა, მამას შესჩივ-  
ლა. მამამაც საიდანლაც ბურთი მოიტანა!.. მაგრამ  
ჩვეულებრივი კი არა, ოქროსი. ისე ბრწყინავდა,  
თვალს მოგჭრიათ.

პატარა გოგომ ბურთის თამაშ-თამაშით მთე-  
ლი კონდრით გადაბიბინებული ეზო შემოირბინა.  
ფრთხილად, შეიღო, არსად გადავიგორდესო, აფ-  
რთხილებდა დედა. გორავდა მწვანე ბალახში, ოქ-  
როს ბურთი. ცისკენ ტრიალ-ტრიალით მიფრინავ-  
და, მიწას ბათქანიტ ენარცხებოდა. ისეთი სანახა-  
ვი იყო, თითქოს ამ მშვენიერი ბავშვის გასართო-  
ბად თვით მზე ჩამობრძანებულა დედამიწაზეო.

ერთიც ენახოთ, ბურთი ახტა-დახტა, ვაგორ-  
და. მერე ცისაკენ აიჭრა. დიდხანს იბღვრიალა  
ცისა და დედამიწას შორის, მერე ერ-  
თხელ კიდევ დაენარცხა მიწას, ავარდა  
მალღა. გამოედევნა გოგო, მაგრამ ნუ-  
რას უკაცრავად, ვერა და ვერ დაეწია.  
შეფიქრიანდა პატარა, მაგრამ არ შეჩე-  
რებულა, დაჟინებით მისდევდა. ბურთი

თავისას მაინც არ იშლიდა, ხელს არ აკარებინებ-  
და პატარას. ისევ მაგრად დაენარცხა მიწას,  
ავარდა მალღა და გეზი იცვალა, მგონი, გაფრე-  
ნა დააპირა; ვინ იცის, აქაურობა არ მოსწონდა  
და ვაცლა ამჯობინა.

ერთ ადგილზე გაშეშდა პატარა გოგო, სახე-  
ზე ხელები აიფარა და მხოლოდ მაშინ გახედა  
ბურთს, მიწისკენ რომ ეშვებოდა.

ეზოს კუთხეში, ქვის მალალ სარტყელმოვლე-  
ბულ ჭისკენ წავიდა ბურთი. ჭის პირზე წამოს-  
კუდა, აქანავდა. გოგონა საშველად გაექანა, შე-  
ეშინდა, ჭაში არ ჩავარდესო. სულ ცოტაც და,  
ჭასთან გაჩნდებოდა, მაგრამ ფეხი ხლართას წა-  
მოსდო და დაეცა. ადგომა არ კი უცდია, ისე  
აეცქერდა მოქანავე ბურთს. ბურთი კი, თითქოს  
გოგოს გამოაჯგურაო, გადაიწ-გადმოიწია და ბათ-  
ქანი მოაღინა ჭის კამკამა წყალში.

ბავშვმა თვალი დახუჭა, თავი მკლავებში ჩა-  
მალა და მწარედ ატირდა. ვაღია შემინებული მი-





ერთიმორეს ასწრებდნენ შინაურები. გოცე-  
ბისგან ხმა ვერ ამოვლით, მხოლოდ, საწოლში  
მოკისკისე, სიხარულისგან მოხტუნავე-გლოფნას  
შეკურებდნენ.

- ვინ მოგიტანა? - ჰკითხა მამამ.

- გომბემომ! აი, აქ ზის... არ ვაგვლით... ჭი-  
დან ამოიღო ბურთი! - გაიძახოდა გახარებული.  
ბური ეტებს, მაგრამ გომბეში ვერსად იპოვეს.  
- ალბათ სიზმარი ნახა... - ჩუქად თქვა გა-  
დიამ და ტუჩებზე ხელი აიფარა.

„სიზმარი, ვთქვით, ნახა, მაგრამ ბურთი საი-  
დან გაჩნდა?“ - სასწაულისგან თვალგებავანიე-  
რებული დედა გარს უვლიდა ბავშვის საწოლს.

- ჩამაცვით, ეზოში მინდა! - ბურთს გულში  
იკრავდა გოგონა და საწოლიდან გადმოსვლას  
თხოვდა.

მთელი დღე კისკის-კისკისით ითამაშა პატა-  
რამ ბურთი, მაგრამ გომბეში ერთხელაც არ მოკ-  
ვონებია.

გრძნობდა ნეტავი ამას გომბეში? ალბათ  
გრძნობდა...

გაბედნიერებული დედ-მამა და გადია ადგილს  
ვეღარ პოულობდნენ სიხარულისაგან, ისინიც პა-  
ტარებივით დასდევდნენ გოგონას, მასთან ერთად  
თამაშობდნენ. სადღა იყო ავადმყოფობა და სი-  
სუსტე.

დაღამდა. ცა ვარსკვლავებით მოიჭვდა, ხუჭუ-  
ჭა მთების გადაღმინდან ბადრი მთვარე ამცურ-  
და.

მთვარეც დამაზია, - ფიქრობდა გოგო, -  
მაგრამ ჩემს ბურთს მინც ვერ სჯობიაო, - ოც-  
ნებაში ჩასთვლიდა, ბურთი მაგრამ ჩაეჭრა გულ-  
ში. უეცრად, რაღაც ტყაპანი გაისმა. გოგონამ  
თვალი სჭყიტა. თურმე ნუ იტყვით, გომბეში მო-  
სულიყო ისევ, საწოლის თავზე წამოსკუპებული-  
ყო. მართალი ვითხრათ, დღად არ ესამოვნა პა-  
ტარა გოგოს გომბეშის დანახვა, მაგრამ სხვა რა  
გზა ჰქონდა... „ვინც უნდა იყოს, სიყვითე არ დაუ-  
კარგო და სიყვარულით უპასუხე!“ - მოაგონდა  
გოგონას ვადიის შეგონება და გომბეშის საღამ-  
ზე ალერსიანი ღიმილით უპასუხა.

„როგორა ხარ?“ - ჩაკითხა გომბეში და  
ლაყუნები დაბერა.

„გმადლობთ, კარგად. მიაბე რა, როგორ იპო-  
ვე ჩემი ბურთი?... ოცი? შენ მე სიკვდილს გადა-  
მარჩინე, ასე ამბობენ უფროსები“. - უთხრა გო-  
გონამ.

„რა გქვია?“ - შეეკითხა გომბეში.

„ბაია. შენ?“ - ისევ გაუღიმა უცნაურ სტუ-  
მარს გოგომ.

„ბაო“. - თქვა გომბეშომ, ახტა-დახტა და გო-  
გონას ქათქათა ბალიშზე დასკუბდა.

ვარდა, გოგონა ხელში აიტაცა, მათკენ მკლავებ-  
გაწვდილი დედისკენ გაიქცა.

ბავშვი სასწრაფოდ საწოლზე დააწვინეს.  
ეალერსებოდნენ, ამშვიდებდნენ, წყალიც დაალე-  
ვინეს, მაგრამ ვერა და ვერ ჩააშოშმინეს გულა-  
მოძვლარი. არავინ შეჰკითხვია, რატომ ტირიო,  
ისეღაც კარგად იცოდნენ.

როგორც იქნა, ჩაეძინა ბავშვს, მაგრამ სულ  
მალე ისევ ტირილით გამოეღვიძა. მაღალი  
სიცხისგან თვალები ეწვოდა, სული ეხუთებოდა,  
თავი სტკიოდა. მშობლებმა ბევრი იწვალეს, მაგ-  
რამ ჭაში ბურთი ვერ იპოვეს. რითი უნდა ენუ-  
გეშებინათ გულდაწყვეტილი ბავშვი. მამა ახალ  
ბურთს შეჰპირდა, მაგრამ ოქროს ბურთს ვერსად  
მიაგნო. ექიმები ვერას გახდნენ გოგონას ავადმ-  
ყოფობასთან. იმედიც გადაეწურათ! უბედურება  
კარზე იყო მომდგარი...

ერთიც ენახოთ, დილით თვალი გაახილა გო-  
გონამ და რას ხედავს, საწოლის თავზე თვალგე-  
ბადმოკარკულე, ლაშპირმოხეული, ფეხებმოგ-  
რეხილი მწვანე გომბეში წამოსკუპებულია. შეე-  
შინდა გოგონას, მაგრამ მალე გომბეში ადამი-  
ანის ენით აღაპარაკდა.

- ნუ გეშინია, ჩემო კარგო, არაფერს დავი-  
შავებ. მე შენი მეგობარი ვარ. აი, ნახე, რა მო-  
გიტანე?..

გოგონამ ბალიშმიდან თავი წამოსწია და რას  
ხედავს... საწოლის ბოლოს, მის ფერხითი, საყვარ-  
ელი ბურთი ანათებს.

- ბურთი!... - შეჰყვირა გოგონამ და ფეხზე  
წამოიბურთა. - დედა, მამა, ვადია! - იძახდა პა-  
ტარა.

შეშინდა გოგონას, შეეზიზღა კიდევ. მერე თავი წამოსწია და ყურადღებით დააცქერდა გომბეშოს. არა, ეს ჩვეულებრივი გომბეშო არ იყო. მწვანე სხეულიდან ისეთი წათელი გამოსჭვივოდა, როგორ სანთლის თალფაქიდან. მერე, თავზე რაღაც უცნაური შენიშნა, ჯერ მომჩვენოთ გაიფიქრა. კარვად დააცქერდა და დარწმუნდა – გომბეშოს ნამდვილად ედგა თავზე პაწაწინა, ჰატიოსანი თვლებით მოოჭვილი გვირგვინი.

„აქ რა არის?“ – შეხება მოინდომა ბაიამ, მაგრამ მოერიდა და ხელი უკან წაიღო.

„გვირგვინია, ჩემო ბაია, შე მოჯადოებული უფლისწული ვარ... – დააცქერდა ბო ბაიას, – მხოლოდ შენ შეგიძლია გადამარჩინო, დამაბრუნო ადამიანობისაკენ“.

„როგორ?“ – შეწუხდა ბაია.


„იცი? აი, მაგ შენ საყვარელ ოქროს ბურთში ჩემი სამეფო მოამწყვდია ბოროტმა ჯადოქარმა. მე ბაყაყად მაქცია... გახსოვს? შენ ჭაში არეკლილი მთვარე ოქროს ბურთი გეგონა. გადაიას შეევედრე – ამომიღეო. პოდა, ამოვარდა ოქროს ბურთი ჭიდან, შენ ნატვრა შევიხრულდა. მამინ შეასუსტე ჯადოქრის ძალა. ახლა, – სევდიანად თქვა გომბეშომ, – თუ შესძლებ, არ შეგეზიზღო, სიყვარულით შემომხედე, ჯადო მომეხსნება... ბურთიც გადაიხსნება და ჩემი სამეფო ისევ ახმაურდება. ბურთში უამრავი ადამიანია ჩამწყვდე-

ული. ბერი ლამაზი სახლი, ეკლესია, ქუჩა-ბაღები, ველ-მინდვრები, უსიერი ტყეებიც ჩაკეტილია. თუ ჯადოქარს სიყვარულით ვაჯობებთ, მისი რიალდებიან მდინარეები, ძველებურად იმღერებს ხალხი, მათ სიცოცხლეს და ადამიანი უყვარდათ. ამიტომაც მოგვაჯადოვა ბოროტმა ჯადოქარმა.“ – გაიშმა გომბეშო, წასვლა დააპირა, ალბათ იმედი გადაეწურა. თან სარკმლებს უკვე გარიჟრაჟი მისდგომოდა და თუ მზე ხმელეთზე მოუსწრებდა, აქვე გააშეშებდა.

„არ წახვიდე, ცოტაც მოიცადე, ბაო!“ – შეევედრა გოგონა და გომბეშოს ხელი გაუწოდა. – იცი? ძალიან მიყვარხარ, მინდა ჩემი განუყრელი მეგობარი ვახდე“.

უცრად ბაიას ოთახში, რაღაცამ დაიჭეკა. თვალისმომჭრელი სინათლე აელვარდა, მერე თითქოს ნისლე დაფარა ყველაფერი. კარი გაიღო და ოქროს ბურთი გაფრინდა, თან ცეცხლოვანი კუდი გაიყოლა.

ბაიამ სინათლის კაშკაშს თვალი ვერ გაუსწორა, სახეზე ხელი აიფარა, მაგრამ სულ მალე მხარზე შეხება იგრძნო და გამოიხედა. რას ხედავს ისევ გადაწმენდილა ყველაფერი, მის წინ მშვენიერი უფლისწული დგას. იქვე იატაკზე კი გომბეშოს მწვანე ტყავი გდია.



# ახარი ნიგნები

საქართველო  
შპს "ნიგნები"

მანია მიწოდებული (მზინა ჩხაბინაი)

## ანგანთქვა


(უმცროსკლასელთათვის)

### წინათქმის გავიერ

აა, აკილო ტბილქართულ  
ლექსისა ბუღეშურისა,  
აილე, ღმერთმა შეგარვოს,  
თუკი რომ გულით ვსურისა.  
მოვალხენს, გავიხარია,  
მადლი მშობლიურ ბევრათა -  
მარად „საზეო, საჭირო,  
გამოსავები ენათა“...

ცამ ციციბა ცივი ცვარი  
სათბის ციციციმ ასხურა,  
სამ-სამ კურჩე სამ საჭურეს  
აციციციმებს სამჭურა.

ო ას ცვარი დეცა,  
ცივი ცვარი, ცინცხალი...  
სიომ მიუღღერსა, -  
რა ვატირებს, მითხარი...



### ალექსი ბოლქვაქა თითოების კამათი

ეჭვი არაა, ავტორის გონიერ და საჭირო სიტყვას, დიმილს  
და სალამს ლექსების ეს წიგნი მთელ დედა-საქართველოს ჩა-  
მოურევებს. ამიტომ, დაუბრკოლებლად და ფეხბედნიერად  
ეკლოს მშობელი ქვეყნის ყოველ კუთხეში. ყველგან მიეტანოს  
დიდი იმედისა და სიკეთის მარცვლი, რომელიც ამ ლექსების  
სტრიქონებშია გაბნეული და რომელიც ემაწვილის სულში  
ქვეშარბიტ მაშულიშვილურ სიყვარულს, მოვალეობის შეგნების  
თუ სწავლის წყურვილის ნერვს აღმოაცენებს, გაახარებს,  
გაძლიერებს და აფავილებს.

ღმერთო, შენ მოუშართე ხელი ამ წიგნს და მის ავტორს,  
რადგან ისინი ნამდვილად იმსახურებენ შენს მოწყალებას. ამინ!

ანზორ აბულაშვილი

### ვლადიმერ ასლამაზაშვილი წიგნ-გაკო

ბავშვების საყვარელმა მწერალმა ვლადიმერ ასლამაზიშვილმა  
გამოსცა მშვენიერი ზღაპრებისა და ლექსების პატარა კრებული  
„წიგნ-გაკო“. ეს წიგნი გამოირჩევა თავისი უბრალობით,  
მაღალმხატვრული, შინაარსიანი და შთამბეჭდავი ნაწარმოე-  
ბებით. გთავაზობთ ორ პატარა ლექსს ამ წიგნიდან.

### მანანა და თოჯინა

ამდენ წუალს რომ  
ეზიდები,  
რისთვის გინდა  
მანანა?  
-თოჯინა შეყვს  
ქმეციანი,  
მინდა კარგად ვაზანა!

### სახარი

ვაკვირვებით უყურებს  
საცერს ვოგო ნესტანი,  
- ფეხილს გიცნით და  
გვურდებში  
რატომღა სწყით  
ნეტავი?!





# ვაშთაცანები

მარდია და ყურგრძელი,  
რა იქნება?! . . . . .


წუსე, კუდაგრძელია,  
რა იქნება?! . . . . .

უყვარს ხმელი ნიყვი,  
რა იქნება?! . . . . .


ბალ-ბოსტანში დარბის,  
რა იქნება?! . . . . .

ღარაფა სახლის,  
რა იქნება?! . . . . .

ატა-ბატა დადის,  
რა იქნება?! . . . . .



## იპოვე 10 განსხვავება



საკვანძო  
ბიორგის მატრავალის  
განსხვავებების  
ძიებისთვის



— ჩინჩალაძე, მოთინებდაც  
საზღვარი აქვს, ხვალ მაშის  
გარემო სკოლაში არ მოგვალ!  
— ზეგ???

- გუშინ რატომ გაცდინე  
გაკვეთილები?
- ჩემი უფროსი ძმა ავადა იყო.
- მერე, შენ..?
- მე მისი ველოსიპედით ვსეი-  
რნობდი.



- მამა, ხვალ სკოლაში  
მასწავლებლების, მოსწავლე-  
ების და მშობლების პატარა  
კრება ტარდება.
- პატარა კრება რაღაც  
ახალია...
- პო, მართო მე, შენ და  
მასწავლებელი ვიქნებით.



- ხატვის გაკვეთილზე:
- რა კარგად ხატავ, მადაზე  
მოვედი.
  - შზის ამოსვლამ მოგიყვანა  
მადაზე?
  - მე შეგონა, ეროკვერცხს  
ხატავდი.





ბატონებო და ქალბატონებო!

საუკუნეს გადაცილებული ქართული საყმაწვილო ჟურნალი „დილა“ 1904 წელსაა დაარსებული. დღიდან დაარსებისა ჟურნალი თავის პატარა მკითხველს აწვდიდა სულიერ საზრდოს, აცნობდა ქართული თუ უცხოური საბავშვო მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს, უყვებოდა მსოფლიოს და საკუთარი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მეცნიერულ მიღწევებზე და უამრავ სიახლეზე. მოკლედ, ჟურნალი თავის ფურცლებზე მისხალ-მისხალ ავროვებდა ცოდნის უღვევ საუნჯეს, თან ყოველთვის ცდილობდა ამ ცოდნის წრის გაფართოებას.

2001 წლიდან ჟურნალმა დაიწყო საყმაწვილო ენციკლოპედიის (20 ტომად) და საყმაწვილო ბიბლიოთეკის (25 ტომად) სერიების გამოცემა. დღეისთვის გამოსულია ენციკლოპედიის პირველი ხუთი ტომი და ბიბლიოთეკის 8 ტომი. ეს გამოცემები დიდი მოწონებით სარგებლობს საზოგადოებაში და ყოველი ახალი წიგნის გამოსვლას, ისე როგორც ჟურნალის ახალ ნომერს, მოუთმენლად ელის „დილის“ ერთგული მკითხველი.

აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვართ, ყველა, ვისაც პატარების მომავალი აწუხებს, დაინტერესებული უნდა იყოს საბავშვო ჟურნალის და მისი გამოცემების ბედითა და ზეალინდელი დღით.

ზეალინდელი დღე კი საუკუნეს გადაცილებული „დილისთვის“ არცთუ ისე მზიანი და იმედიანია, რადგან საქართველოს მთავრობა, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობის გაყიდვით სხვა ჟურნალ-გაზეთებთან ერთად, „დილასაც“ უბინაოდ დატოვებდას უპირებს.

რამდენად სამართლიანია ამ შენობიდან ჩვენი რედაქციის გამოცემა და უსახლკაროდ დატოვება, სამწუხაროდ, ამის გარკვევას დღეს არავინ ცდილობს (ვთხოვთ იხილოთ დანართი). დიდი ისტორიის მქონე საბავშვო ჟურნალის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

ტირფასო მეგობრებო! თქვენ, ვისაც იურიდიულად და მორალურად გვეკლებათ ბავშვთა უფლებების დაცვა, გაცნობებთ, რომ დღეს, საქართველოს დღაქალაქის ქუჩები გაივსო უმწეო, მშვიერი, გამათხოვრებელი ბავშვებით, რომლებიც ბედნიერ ბავშვობაში დაბრუნების გზას ნარკოტიკული სტიმულატორებით აღძრულ ძალუკინაციებში ეძებენ; ხოლო იმ ჟურნალს, რომელიც მათში ამ ბავშვობის დაბრუნებას სულიერებითა და განათლებით ცდილობდა, ახლა საკუთარი ჭერიდან უპირობებრ გაძევებას.

ჩვენც რა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ თქვენთან, თქვენს შორის ვეძებთ სამართალიც და თანადგომაც. ამიტომ მივეცით თავს ამ მიმართვის დაწერის უფლება. ვთხოვთ, გვერდით დაგვიდგეთ ამ გაჭირების ჟამს და საქართველოს მთავრობას შეახსენოთ, რომ საქართველო, როგორც ბავშვის უფლებათა კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, ამავე კონვენციის მე-17 მუხლის მიხედვით, ვალდებულია აღიაროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვანი როლი და წახალისოს საბავშვო ლიტერატურის გამოცემა და გავრცელება ქვეყანაში.

კეთილი სურვილებით და იმედებით

საყმაწვილო ჟურნალი „დილა“ საქართველო. თბილისი. კოსტავას ქ. 14

**დანიართი:** 1906 წელს დიდი ქართველი მამულიშვილის და ქველმოქმედის, იაკობ ზუბალაშვილის მიერ ჟურნალისთვის საჩუქრად გადაცემული სახლის (მის. ძველი ვოლოჯინის პროსპექტი, ზუბალოვის სახლი №8) სანაცვლოდ, 1921 წელს, ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ, მთავრობამ სხვა თავშესაფარი მისცა „დილას“, იქიდან კი გამოცემლობის ახლადაშენებულ შენობაში (მის. კოსტავას ქ. №14) გადმოიყვანა. აღსანიშნავია, რომ ეს ნაგებობა აშენდა მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის, ასევე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებისათვის, მათ შორის „დილის“ რედაქციისთვისაც. იმ დროისთვის ამ გამოცემებს ასე ათასობით ტირაჟი უჭირდათ და უზარმაზარი მოცუება მოქონდათ სახელმწიფოსთვის. მარტო „დილა“ ას ოთხმოცი ათასი ტირაჟით გამოდიოდა. დღესაც, საქართველოში არსებული მწვავე ეკონომიკური კრიზისის პირობებში, „დილას“ სახელმწიფოს მიმართ არავითარი დავალიანება არ გააჩნია, მეტიც, ბოლო პერიოდში ბიუჯეტში 150 000-მდე ლარი აქვს შეტანილი.





**გამომცემელი** საგანავილო ენციკლოპედია

მათავარი რედაქტორი  
**ლოლო წიგწიგაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე  
**ლაშვან ბაბუნაშვილი**

პასუხისმგებელი მდივანი  
**თამარ ნინიკაშვილი**

პოეზია:  
**გაია წიგწიგაძე**

პროზა:  
**ბავლა კვაჭანტირაძე**

უმცემნები და გასართობი  
**მისალბები:**

**ცინცინო მუჰარიშვილი**

„დილის“ სამაწველო  
ენციკლოპედია

პასუხისმგებელი რედაქტორი  
**ალექო ბაბუნაშვილი**

„დილის“ სამაწველო  
ბიბლიოთეკა

პასუხისმგებელი რედაქტორი  
**ნანა კვარაცხელია**

სტილი:  
**ცინცინა ნიკოლაიშვილი**

მატერობა და დიზაინი:  
**ბიბ ლავარო**

**თაბაძე**

ტექნიკური რედაქტორი  
**ნუგზარ ბახტაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
**ნუგზარ არჩვაშვილი**

**პარიკა გორგაძე**

**სალომე კვაჭანტირაძე**

საფინანსო განყოფილება:  
**ნინოა ციციშვილი**  
**გუგული ლეჟავაძე**

საზოგადოებასთან ურთიერთობის  
განყოფილება:

**ბავლა გორგაძე**  
**ნანა კაკაჩია**

მისამართი:

თბილისი, კოსტავას ქ. №14

ტელ: 93 10 32; 93 41 30

<http://www.dila.ge/>

ელ-ფოსტა: [dila1904@yahoo.com](mailto:dila1904@yahoo.com)

ფასი 2.50 ლარი

## გამოვიდა


### „დილის“ საგანავილო ენციკლოპედია წიგნი IV. ცივილიზაცია, ნაწილი III

წიგნი შესულია შუასაუკუნეთა მსოფლიოს მნიშვნელოვანი კულტურების მიმოხილვა. აქ გვეჩვენებს ენციკლოპედიის III ტომში (ცივილიზაცია, ნაწ. II) განხილული ირანული, ინდური, ჩინური და აბორიგენული კულტურების მომდევნო - შუა საუკუნეთა ეპოქებს, ვიდრე რენესანსის ეპოქამდე. ამასთან, პირველად შეხვდებით არაბეთის, ინდონეზიის, ინდონეზიისა და მესამედიის დიდებულ ცივილიზაციებსაც, რომელთა ისტორიის შესახებ, სამუხაროდ, ბევრი რამ უჩინობა ქართულ მკითხველისთვის.



### „დილის“ საგანავილო ბიბლიოთეკა წიგნი IV. ქართული ხალხური ზღაპრები

„ზღაპრების ეს კრებული, რომელიც „დილის“ საბავილო მკაცრად წლისთვის მიუძღვნა, ასე შედგა: „დილაში“ გამოქვეყნებული ზღაპრებიდან შეირჩა შედარებით იშვიათი ნიმუშები (საერთაშორისო, რომელიც „დილის“ და „წიგნის“ სხვა წყაროებიდანაც ადვილად გვეჩვენა მკითხველი. ეს ზღაპრები დავადავებთ განზრახვად ცხოველთა ზღაპრები, ჯადოსნური ზღაპრები, საყოფაცხოვრებო ან ნოქლისტური ზღაპრები...), დავურთივთ მცირე ლექსიკონი და ვახსოვთ მოკლე კომენტარები, რომლებიც, ემდებინებო, ზღას შეუწყობს ჩვენი პატარების მშობლებსა და აღზრდელ-მასწავლებლებს თავიდან დაეცვლიან და ბავშვებიც თამაშად ამოგზავრონ ქართული ზღაპრების ჯადოსნურ სამყაროში.



## გამოვიდა



# ბიომსენვეთი დაბუნებონს დოხს

F343  
2006

ბ 53/20

ლიზი მესხი

ირაკლი შორეაძე

ლუკა  
ბარდუაშვილი

სოფო და ლუკა  
ნიკოლაიშვილები

ნეკა პერიაშვილი

თეონა და ნატა  
საბაშვილები

მარიკო სტავაძე

შალვა ლომთაძე

ნიკა და ირაკლი კუპერაშვილები

კესო ბაბუხაძე

დინო და ნინო ბუბუხაძეები

